



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 29 აპრილი

დისციპლინური საქმე №29/20-1
მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- წლის --- №29 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის --- წლის --- №177/29-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა --- წლის --- №29 საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და ამავე წერილით განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა.

--- მიერ --- წლის --- №29 საჩივრის შემდგომ დამატებით წარმოდგენილ იქნა --- წლის №95-ი და --- წლის №128-ი წერილები, რომლითაც მოხდა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა და მოთხოვნების დაზუსტება.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, --- არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლე --- დროულად არ აღკვეთა სხდომათა დარბაზში --- მიერ მოწყობილი პროვოკაცია. მოსამართლემ წესრიგის დამრღვევი პირის სხდომის დარბაზიდან გაძევების ნაცვლად დახურა სასამართლო სხდომა, რამაც გამოიწვია --- მიერ განხორციელებული ინციდენტი, რომლის მიზანიც დაცვის მხარეზე ზეწოლა იყო.

მოსამართლე --- სათანადოდ არ ასრულებდა მოსამართლის მოვალეობას, ---.

მოსამართლე --- დაარღვია საქართველოს სსკ 278-ე მუხლით დადგენილი საპროცესო ვადები.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსამართლე --- სისხლის სამართლის საქმე --- მიმართ არსებითად განსახილველად დაეწერა --- (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ --- მუხლის --- ნაწილის --- ქვეპუნქტებით).

--- სასამართლოს --- წლის --- განაჩენით --- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ --- მუხლის --- ნაწილის --- ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა --- ვადით.

-- საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად -- -- განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა --- ვადით.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

საჩივრის ავტორის განცხადებით, -- არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლე -- -- დროულად არ აღკვეთა სხდომათა დარბაზში -- -- მიერ მოწყობილი პროვოკაცია. მოსამართლემ წესრიგის დამრღვევი პირის სხდომის დარბაზიდან გაძევების ნაცვლად დახურა სასამართლო სხდომა, რამაც გამოიწვია -- -- მიერ განხორციელებული ინციდენტი, რომელის მიზანიც დაცვაზე ზეწოლა იყო.

-- წლის -- სასამართლო სხდომაზე, დაიკითხა არასრულწლოვანი მოწმე -- --. დაკითხვის წარმოებისას, -- -- უხამსი სიტყვებით მიმართა მოწმესა და დაცვის მხარეს, აღნიშნულ ქმედებას დარბაზში მყოფების მხრიდან მოჰყვა ემოციური წამომახილები, წარმოიშვა კონფლიქტური სიტუაცია, რამაც გადაინაცვლა დარბაზის გარეთ. ამ ინციდენტის გამო შეჩერდა სასამართლო სხდომის მიმდინარეობა. სასამართლო სხდომის განახლების შემდგომ მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე არასრულწლოვანი მოწმის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სხდომის დახურვის შესახებ.

-- წლის -- სასამართლო სხდომის დაწყებისთანავე მოსამართლემ გააფრთხილა -- -- და მოუწოდა წესრიგის დაცვისაკენ, ვინაიდან -- სასამართლო სხდომაზე, სწრაფად განვითარებული მოვლენების გამო, მოსამართლეს არ მიეცა ამის საშუალება, სხდომის განახლების შემდგომ კი -- -- აღარ იმყოფებოდა სხდომის დარბაზში. გაფრთხილების მიუხედავად, -- წლის -- სასამართლო სხდომაზე -- -- ყვირილით -- -- --- კვლავ დაარღვია წესრიგი, რის გამოც მოსამართლემ იგი გააძევა სხდომათა დარბაზიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს სსსკ 23-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე წარმართავს სხდომას, სასამართლოს თათბირის მიმდინარეობას, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებანი, უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, აგრეთვე ახორციელებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო

სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.

იმპერატიულად დადგენილია საპროცესო წესი, რომ მოსამართლემ განკარგულების გამოტანამდე, ზეპირი შენიშვნა უნდა მისცეს წესრიგის დამრღვევ პირს, ხოლო დაუმორჩილების შემთხვევაში, შემდეგში მიიღოს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. არსებულ მოცემულობაში, სასამართლოს არ ჰქონდა შესაძლებლობა -- წლის -- სასამართლო სხდომაზე გაფრთხილება მიეცა -- --, შესაბამისად სასამართლო ვერ გააძევებდა მას სხდომის დარბაზიდან.

საქართველოს სსსკ 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილია წესრიგის დაცვის მიზნით, საკუთარი ინიციატივით ნაწილობრივ ან სრულად დახუროს სასამართლო სხდომა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 24-ე მუხლი „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, არასრულწლოვანი მოწმის საუკეთესო ინტერესების დასაცავად მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, არასრულწლოვანი მოწმის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, ადვოკატის ან პროკურორის შუამდგომლობით გამოიტანოს განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები განიმარტება, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მოტივაცია, სხდომის მიმდინარეობის დახურვასთან დაკავშირებით უკავშირდებოდა დარბაზში შექმნილ ვითარებას და იმ ფაქტს, რომ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულის მქონე იყო, ამასთან იკითხებოდა არასრულწლოვანი მოწმე, რა დროსაც იყო ხმაური და დამაბული ვითარება.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო განხილვის საჯაროობა არის სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი. სხდომის დახურვა მხოლოდ განსაკუთრებულ, გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იყოს გამართლებული, მაშინ, როცა უფრო ნაკლებად შემზღვეველი საშუალებით ვერ იქნება მიზანი მიღწეული.

მოსამართლე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლო სხდომის დახურვის მიზანშეწონილობის შესახებ.

შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის დანაწესის თანახმად, დაუშვებელია შემოწმდეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

1. -- -- -- წლის -- №29 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ სასამართლო სხდომის დახურვის კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, -- -- -- წლის -- №29 საჩივარში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი